საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2765 2015 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მეორე პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 11 დეკემბრის №5/71872 გადაწყვეტილება, ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 813.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №62.09.54.858) ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი